ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

# ო ქ მ ი N11

სხდომის ჩატარების დრო:
30 აგვისტო, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ: 12 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი იმედა საღინაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი სილაგაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების : ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერილი+"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის" პირდაპირი განაკარგვის წესით, სასყიდლი, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით, )იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ზრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების პროექტს თან ახლავს დანართი, სადაც ჩამონათვალია იმ ქონებებისა, რომელიც ემატება საპრივარტიზაციო ნუსხას, შესაბამისად შევა შემდეგ გეგმაშიც და მოხდება აღნიშნული ქონების გასხვისებით ქალაქის ბიუჯეტში თანხების აკუმულირება, სულ წარმოდგენილია 8 უძრავი და 14 მოძრავი ქონება ამორტიზებული ავტომობილების სახით. განვიხილავ თითოეულ მათგანს, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები: ბუკიას ქუჩა N21-ის მიმდებარედ 5534 კვ.მეტრი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე 211 კვ.მეტრი, რუას ქუჩა N55-ში 5029კვ.მეტრი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, რუას ქუჩა N55-ში 7937 კვ.მეტრი, გუგუნავას ქუჩაზე 1478 კვ.მეტრი, მასზე მდგომი 5 შენობა-ნაგებობით, ილია ჭავჭავაძის გამზირიN37-ში 770 კვ.მეტრი, მასზე არსებული შენობა ნაგებობებით, ასევე თაბუკაშვილის ქუჩა N24-ში 207.23 კვ.მეტრი და გუგუნავას ქუჩაზე არსებული 1158,14კვ.მეტრის ფართობის არასაცხოვრებელი ფართები. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, როგორც ავღნიშნე 14 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, ერთის გარდა ყველა ამორტიზირებულია."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების მიხედვით ხდება ნუსხაში შეტანილი ობიექტების უკვე გეგმაშიც შეტანა, მითითებულია ასევე საწყისი ფასი. გეგმაში შეტანის შემდგომ მოგეხსენებათ ქონებები გადის აუქციონზე და კონკრეტული ფასიც გეგმაში შეტანის შემდგომ მოგეხსენებათ ქონებები გადის აუქციონზე და ხდება მათი პრივატიზება. ჩამონათვალი აბსოლიტურად ანალოგიურია რაზეც წინა საკითხზე ვისაუბრეთ."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და დავით ზახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება ძირითადი ქონების გასხვისება, რასაც სჭირდება საკრებულოს თანხმობა, საკითხი ეხება ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N2ა-სთან ჩრდილოეთით მდებარე ძირითად განუსხვისებელ ქონებას, ფართობით 211 კვადრატული მეტრი, აღნიშნული წარმოადგენს ავტოსადგომს, პარკინგსერვისიდან შემოსული წერილის თანახმად ეს ქონება დიდი ხანია ამოღებულია იმ ქონებების სიიდან, რაც გადაცემული ქონდათ მათ, შესაბამისად ქონება არის უფუნქიო, ძირითადი ქონების სტატუსი პრაქტიკულად დაკარგული აქვს, ვერ გამოიყენება ავტოსადგომის ფუნქციური დანიშნულებით და წარმოდგენილი გვაქვს საკრებულოზე, რომ აღნიშნულ ქონებას დაეკარგოს ძირითადი ქონების სტატუსი და მოხდეს მისი გასხვისება აუქციონის გზით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: კობა გურულმა, გიორგი კილაძემ, და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერგილი+“-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტროტუარების ნაწილის იჯარის ფორმით საკუთრებაში გადაცემას, კიბის უჯრედების მოსაწყობად.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების : ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერილი+"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის" პირდაპირი განაკარგვის წესით, სასყიდლი, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მერიაში შემოსული იქნა შპს „ლაიქის" განცხადება, რომლითაც ითხოვს ზვიად გამსახურდიას გამზირი N44-ის ჩრდილოეთით არსებული 13 კვ.მეტრის ფართობის გზის ნაწილის იჯარით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემას, ელექტროდამტენის დამონტაჟების მიზნით 5 წლის ვადით, აქედან 2 წელი მოქალაქეებს მოემსახურება უფასოდ და შესაბამისად უზუფრუქტიც იქნება უფასო 2 წლის განმავლობაში.

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლო, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა ვალერი სილაგაძემ

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ზესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია განცხადება ტელე-რადიო კომპანია რიონისაგან, რომლითაც ითხოვს გარკვეული ფართების იჯარის ფორმით საკუთრებაში გადაცემას, კერძოდ, დღევანდელ მათ სარგებლობაში არსებული ფართები, ფალიაშვილის ქუჩა N2-ში 110,42 და 271.84 კვ.მეტრის ფართობით, გადაცემული ქონდათ 2 წლიანი უფასო უზურფრუქტის ფორმით, კანონი გვაძლევდა ამის საშუალებას და გაუვიდა ვადა, გამომდინარე აქედან წარმოდგენიილი განკარგულების საფუძველზე ითხოვენ იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას. წლიური საიჯარო ქირა წარმოადგენს 20500 ლარს.“

საკიხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით, )იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.“

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი